Funded by the European Union

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries

# მდგრადი საჯარო შესყიდვები საქართველო



Action implemented by:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

# რატომ უნდა განხორციელდეს მდგრადი საჯარო შესყიდვები საქართველოში?

1. **“საფულის ძალა“: საჯარო ხელისუფლებას საქართველოში დიდი მსყიდველობითი უნარი გააჩნია.**

- საჯარო შესყიდვების ხარჯები საქართველოს მშპ-ს დიდ ნაწილს შეადგენს: **12%** 2020 წელს **(მსოფლიო ბანკი)**

2. **“განვითარების ეფექტი”: მდგრადი საჯარო შესყიდვები წარმოადგენს უდიდეს შესაძლებლობას, რომელიც ბაზრებს ინოვაციისა და მდგრადობისაკენ წაიყვანს და ხელს შეუწყობს მწვანე ეკონომიკის დანერგვას.**

- მდგრადი საჯარო შესყიდვები ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას.
- მდგრადი საჯარო შესყიდვები ზრდის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებასა და მოხმარებას.

3. **“მდგრადი საჯარო შესყიდვა კარგი საჯარო შესყიდვაა”**: მდგრადი საჯარო შესყიდვა ღირებული ინსტრუმენტია შემდგომი ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი განვითარებისათვის. **მას მრავალი სარგებელი მოაქვს სამივე სფეროში.**

- შემსყიდველი ორგანიზაციების პოზიცია არის **გამჭვირვალობის მოთხოვნა** საქონლისა და მომსახურების მიერ გამოწვეული ყველანაირი გავლენის შესახებ, მისი წარმოებიდან საბოლოო განადგურებამდე.
- მდგრადი საჯარო შესყიდვები ნიშნავს უკეთესი პროდუქციის შეძენას უკეთესი კომპანიებისაგან.

# მდგრადი საჯარო შესყიდვების განხორციელების მიმართულება საქართველოში

2019 წლიდან საქართველო ნერგავს მდგრად საჯარო შესყიდვებს და ეკომარკირებას „ევროკავშირი გარემოს დაცვისათვის“ (**EU4Environment** ) პროგრამის ფარგლებში.

საქართველო აუმჯობესებს მდგრად საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებულ კანონმდებლობას. ამ მხრივ უკვე გვაქვს საგრძნობი პროგრესი.

- შემოღებული იქნა მდგრადი საჯარო შესყიდვების კონკრეტული სამართლებრივი დებულებები და მუხლები **საქართველოს კანონში საჯარო შესყიდვების შესახებ** შესწორებების შეტანის მიზნით, რაც უზრუნველყოფს კანონის მხარდაჭერას საჯარო შესყიდვების განხორციელების ციკლის ყველა საფეხურზე.

.

- შემუშავდა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები **მეორად კანონმდებლობაში მდგრადი საჯარო შესყიდვების ახლადშემუშავებული სამართლებრივი დებულებების** შესატანად.
- მომზადდა **სახელმძღვანელოები და პროტოკოლები** ახლადშემუშავებული მდგრადი საჯარო შესყიდვების პირველადი და მეორადი სამართლებრივი დებულებების ადაპტირებისა და განხორციელებისათვის.

ასევე მომზადდა მდგრადი საჯარო შესყიდვების თემაზე სასწავლო მასალები და მოეწყო ტრენინგების ციკლი, რომელიც მიზნად ისახავს საკანონმდებლო დებულებების, პროდუქტების ჯგუფების პრიორიტეტების და ბაზრის მზაობის შესახებ კონსულტაციებს.

.

# პრიორიტეტული პროდუქტების ჯგუფები მდგრადი საჯარო შესყიდვების განხორციელებისათვის

- რამდენიმე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის  მხარდაჭერით და  გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის მდგრადი საჯარო შესყიდვების მიდგომების გათვალისწინებით **საქართველომ განახორციელა კვლევა სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ შესყიდული ყველაზე პოპულარული პროდუქტების დასადგენად. კვლევა მოიცავს:**

1. მიმოხილვას ბაზარზე არსებული მწვანე პროდუქტების ხელმისაწვდომობის შესახებ.
2. მიმოხილვას ბაზრის მზადყოფნის შესახებ (მცირე და საშუალო ბიზნესების ჩათვლით) - აწარმოოს და შესთავაზოს მომხმარებელს მეტი ეკოლოგიურად სუფთა და  რესურსეფექტური საქონელი.

3. პრიორიტეტული პროდუქტების ჯგუფების გამოყოფა, სადაც უკვე ხელმისაწვდომია ალტერნატიული ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები მდგრადი საჯარო შესყიდვების საპილოტე ტენდერებისათვის.
4. ამ პროდუქტებისა და მომსახურებების გარემოსდაცვითი რისკების ანალიზი.

- **საქართველოში  მდგრადი საჯარო შესყიდვების საპილოტე ტენდერებისათვის გამოვლენილი პრიორიტეტული ჯგუფებია:**
  - სახარჯო მასალები და დასუფთავების საშუალებები.
  - გამოსახულების აპარატურა - პრინტერები, პლოტერები და კარტრიჯები.

# პრიორიტეტული პროდუქტების ჯგუფები: დასუფთავების საშუალებები და მომსახურება

**დასუფთავების საშუალებები და მომსახურება** არის საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული  პროდუქტების ჯგუფი მდგრადი საჯარო შესყიდვების კუთხით. ამ კატეგორიაში შედის:

- *დასუფთავების საშუალებები*  (ყველანაირი დანიშნულების დასუფთავების საშუალებები, სადეზინფექციო საშუალებები, ხელის საპნები და ა.შ.)
- *დასუფთავების აქსესუარები* (ტილოები, ქსოვილის თავები იატაკის საწმენდი ჯოხისათვის, ქაღალდის ხელსახოცები და ა.შ.)
- *დასუფთავების მოწყობილობები* (მაგ.: მტვერსასრუტები)

დასუფთავების საშუალებების მდგრადი საჯარო შესყიდვები, რომელიც იცავს გარემოსდაცვით და სოციალურ კრიტერიუმებს, უნდა :

- უზრუნველყოფდეს ეკოლოგიურად სუფთა და რესურსეფექტურ დასუფთავებას საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და ობიექტებში;
- პოტენციურად ზრდიდეს ეკოლოგიურად სუფთა დასუფთავების პროდუქტების წარმოებასა და მოხმარებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული სახიფათო ქიმიკატებისაგან გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემები.

# დასუფთავების საშუალებების წარმოების, გამოყენებისა და საბოლოო განადგურების ზემოქმედება გარემოზე

დასუფთავების საშუალებების ზემოქმედება გარემოზე ხდება ამ პროდუქტების საარსებო ციკლის ყველა ეტაპზე - დაწყებული მათი წარმოებიდან დასრულებული მათ საბოლოო განადგურებით:

1. **საშიში ნივთიერებების გამოყოფა**

2. **სათბური გაზების გამოყოფა**

3. **ენერგიისა და წყლის მოხმარება**

4. **წყლის დაბინძურება**

5. **მყარი და თხევადი ნარჩენების წარმოქმნა** მაგ.: შესაფუთი და არაგადამუშავებადი მასალებისაგან.

# რა სარგებელი მოაქვს დასუფთავების მომსახურებისა და პროდუქტების მდგრად შესყიდვებს?

1. **გარემოსდაცვითი და სოციალური მუშაობის გაუმჯობესება** სამართლიანი სამუშაო პირობების შექმნის უზრუნველსაყოფად, რაც საქართველოს დაეხმარება მწვანე ეკონომიკაზე გადასვლაში.
2. ადამიანის ჯანმრთელობისათვის **საშიში ნივთიერებების ზემოქმედების რისკის შემცირება** (მაგ.: გამხსნელები).

3. **წყლის დაბინძურების შემცირება** დასუფთავების საშუალებების წარმოებისა და გამოყენებისათვის.

4. **ელექტროენერგიის მოხმარების შემცირება** (მაგ. ენერგოეფექტური დასუფთავების მოწყობილობების გამოყენებით, როგორიც არის მტვერსასრუტი)

5. **ბუნებრივი რესურსების დაცვა/შენარჩუნება** (მაგ.: ბიოდეგრადირებადი და გამხსნელების არშემცველი პროდუქტების საშუალებით.)
6. **მყარი ნარჩენების წარმოქმნის და მისი განადგურების ღირებულების შემცირება** (მაგ.: ვაწარმოოთ ნაკლები საპნის კონტეინერი და გვქონდეს მეტი ხელმისაწვდომობა იაფ შეფუთვაში ჩასხმულ დიდი ოდენობის თხევად საპონზე, რომლითაც პერიოდულად შევავსებთ ხოლმე ჩვენს საპნის კონტეინერს. )

# მდგრადი საჯარო შესყიდვები არ არის ცალკე არსებული პრაქტიკა

მდგრადი საჯარო შესყიდვები ბევრად ეფექტურია, როდესაც იგი ხორციელდება **შესყიდვების ხელსაყრელი პროგრამის ფარგლებში**. ეს მოიცავს რამდენიმე ელემენტს, როგორიცაა:

- საჯარო შესყიდვების გამჭვირვალე სისტემა
- გამოცდილი და კვალიფიციური პერსონალი
- შესყიდვის შემოთავაზების სტრატეგიული შეფასება (არამხოლოდ ყველაზე დაბალი ფასით)
- მდგრად საჯარო შესყიდვებზე პირდაპირ მორგებული სამართლებრივი ჩარჩო
- პრეტენდენტებთან გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური კრიტერიუმების ღიად განხილვა და ინფორმაციის გაზიარება
- პერსონალის გარემოსდაცვითი  ცნობიერება და საერთო ღირებულებები

# მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ვებგვერდებს:


- “Second Edition of UNEP’s Sustainable Public Procurement Guidelines”. UNEP, 2021. https://www.unep.org/resources/publication/second-edition-uneps-sustainable-public-procurement-guidelines [16.11.2022].
- “EU GPP Criteria: Cleaning products and services”. European Comission, 2018. https://ec.europa.eu/environment/gpp/eu_gpp_criteria_en.htm [16.11.2022].
- “Green products and public procurement”. EU4 Environment, n.d. https://www.eu4environment.org/areas-of-work/green-products-and-public-procurement/ [16.11.2022].
- “Case Studies on Sustainable and Circular Procurement”. ICLEI Sustainable Procurement Platform, n.d. https://sustainable-procurement.org/case-studies/ [18.11.2022].

Funded by
the European Union

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries

www.eu4environment.org

© 2023 UNEP. All rights reserved. Licensed to the European Union under conditions.

#StrongerTogether #EasternPartnership